



## სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

დამტკიცებულია: წარმომადგენლობითი საბჭოს

2023 წლის 25 სექტემბრის N28 დადგენილებით

### ეთიკისა და ქცევის წესები და დარღვევებზე რეაგირების პროცედურები

#### მუხლი 1. ზოგადი დებულება

1. ეთიკისა და ქცევის წესები და დარღვევებზე რეაგირების პროცედურები ( შემდეგში „ეთიკის კოდექსი“) განკუთვნილია სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, მასწავლებლების, მოწვეული სპეციალისტებისთვის და საუნივერსიტეტო ღირებულებების, კანონმდებლობისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად, ადგენს აკადემიური, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, მასწავლებლების, მოწვეული სპეციალისტის ქცევის ნორმებს, მათ შორის წამოჭრილი ეთიკური პრობლემების მოგვარების შესაძლო გზებს. აკადემიური ეთიკის დარღვევის სახეობებს, სასწავლო უნივერსიტეტის ნორმატიული აქტებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად,

2. ეთიკის კოდექსის მიზანია, ხელი შეუწყოს სასწავლო უნივერსიტეტში სამეცნიერო და აკადემიური საქმიანობისა და შინაგანი პასუხისმგებლობის დონის, საუნივერსიტეტო საზოგადოებაში სასწავლო უნივერსიტეტის პრესტიჟის ამაღლებას, საერთაშორისო სამეცნიერო სტანდარტების დანერგვისათვის ქცევის ნორმების რეგულირებასა და პასუხისმგებლობის ფორმების დამკვიდრებას.

3. ეთიკის კოდექსი არ შეიცავს ყველა შესაძლო ეთიკურ პრობლემას. მისი მიზანია აკადემიურ, ადმინისტრაციულ, დამხმარე პერსონალს, მასწავლებლებსა და მოწვეულ სპეციალისტებს მიაწოდოს ეთიკური სტანდარტების შესაბამისად სამოქმედო სახელმძღვანელო პრინციპები.

#### მუხლი 2. მოქმედების სფერო

1. ეთიკის კოდექსი აღწერს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში სასწავლო უნივერსიტეტი) ეთიკურ პრინციპებსა და სტანდარტებს, რომლის სრულფასოვანი დაცვა და შესრულება სასწავლო დაწესებულების წარმატების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

2. სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი, მასწავლებლები, მოწვეული სპეციალისტი ვალდებული არიან დაიცვან სასწავლო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი.



## სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

3. ეთიკის კოდექსის მიზანია დაარეგულიროს საგანმანათლებლო ურთიერთობათა სფეროში წარმოშობილი ეთიკური პრობლემები, განსაზღვროს სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალისა საქმიანობის ძირითადი პრინციპები, ქცევის წესები და ურთიერთობის ეთიკური სტანდარტები.

### მუხლი 3. ეთიკის პრინციპები

1. სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული, დამხმარე/შტატგარეშე პერსონალი:

ა) ადმინისტრაციული, დამხმარე, შტატგარეშე პერსონალის საქმიანობა უნდა ეფუძნებოდეს პროფესიული ქცევის წესებს, რომლითაც ფასდება პროფესიული კომპეტენტურობის ხარისხი. ეთიკის კოდექსის დაცვა ხელს შეუწყობს საზოგადოებაში სასწავლო უნივერსიტეტის სახელისა და ავტორიტეტის განმტკიცებას;

ბ) ადმინისტრაციული პერსონალის მოვალეობაა სასწავლო უნივერსიტეტში შექმნას სასწავლო საქმიანობისა და პროფესიული განვითარებისათვის აუცილებელი მორალური, ფინანსურ-ეკონომიკური და საყოფაცხოვრებო გარემო;

გ) ეფექტურად გამოიყენოს სასწავლო უნივერსიტეტის ქონება, სამუშაო დრო, ინტელექტუალური შესაძლებლობები და სხვა რესურსები;

დ) აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი პატივს უნდა სცემდეს სასწავლო უნივერსიტეტს და მის ტრადიციებს, თანამშრომლებს და სტუდენტებს მოეპყრას სამართლიანად და პატივისცემით;

ე) აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი უნდა დაემორჩილოს სასწავლო უნივერსიტეტის დადგენილ მარეგულირებელ წესებს, პროცედურებს და შესაბამის კანონმდებლობას;

ვ) აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალს შორის არსებული სამსახურებრივი ურთიერთობები უნდა იყოს პროფესიონალური და ეთიკური. მიუღებელია ანონიმური წერილები, განცხადებები და კომენტარები თანამშრომლის სამსახურებრივი საქმიანობის და პირადი ცხოვრების შესახებ.

2. აკადემიური, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი (მასწავლებლები, მოწვეული სპეციალისტი) თავიანთი საქმიანობის განხორციელებისას ვალდებული არიან:

ა) შექმნან ყველა საჭირო პირობა აკადემიური და პროფესიული გარემოს არსებობისათვის. მათ მიერ შემუშავებულ უნდა იქნას სწავლების ისეთი მეთოდები, შეფასების სისტემა, რომლებიც წაახალისებს სტუდენტების აკადემიურ პატიოსნებას და გამორიცხავს პლაგიატს; ბ) საფუძვლიანად შეიმუშაონ



## სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

სალექციო კურსების თემატიკა და სტრუქტურა, პერიოდულად მოახდინონ მათი განახლება შესაბამის სფეროში მიმდინარე ცვლილებების შესაბამისად;

გ) სასწავლო პროცესი წარმართონ დამტკიცებული სასწავლო გეგმის შესაბამისად. არ დაუშვან ლექციის, მეცადინეობის დროზე ადრე დამთავრება ან გაცდენა სერიოზული საპატიო მიზეზის გარეშე;

დ) სტუდენტების შეფასების პროცესში იმოქმედონ სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპების შესაბამისად. მათ მიერ მიცემული შეფასება დაფუძნებული უნდა იყოს მხოლოდ აკადემიურ მოსწრებაზე და არა პიროვნულ მახასიათებლებზე (როგორცაა: სქესი, რელიგია, რასობრივი კუთვნილება, პიროვნული ღირებულებები, პოლიტიკური კუთვნილება და სხვა);

ე) არ დაუშვან სტუდენტების, მათი ახლობლების შესაძლებლობათა გამოყენება პირადი სარგებლისა თუ გამორჩენის მიზნით;

ვ) გამორიცხონ შეფასებაზე ზემოქმედების ფავორიტიზმის, პროტექციონიზმის, სხვა მსგავსი ფაქტორებით სტუდენტთა დისკრიმინაცია;

ზ) სტუდენტებს მიაწოდონ სრული ინფორმაცია შეფასების სისტემის შესახებ.

თ) შეაფასონ სტუდენტები მხოლოდ მათი მიღწევებისა და შესაძლებლობების საფუძველზე, და არ ჩააყენონ რომელიმე მათგანი პრივილეგირებულ მდგომარეობაში;

თ) თავი შეიკავონ სასწავლო უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ ისეთ საქმიანობაში ჩართვისა თუ ვალდებულებების აღებისაგან, რაც ხელს შეუშლის მათი მოვალეობის სრულფასოვნად განხორციელებას;

ი) დანიშნულებისამებრ და ეფექტიანად გამოიყენონ სასწავლო უნივერსიტეტის რესურსები საქმიანობის სრულად განსახორციელებლად;

კ) მასწავლებლებს არა აქვთ უფლება მიიღონ და განიხილონ მათი რომელიმე კოლეგის კრიტიკა სტუდენტების მხრიდან. ასეთ შემთხვევაში მათ უნდა მოუწოდონ სტუდენტებს მიმართონ უშუალოდ კრიტიკის ობიექტს ან სასწავლო უნივერსიტეტის ხელმძღვანელს.

ლ) მასწავლებლები პატივისცემით და სამართლიანად უნდა მოეპყრან ერთმანეთს, აკადემიური, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის წარმომადგენლებს და მათ საქმიანობას სასწავლო უნივერსიტეტში.

### მუხლი 4. აკადემიური ეთიკის დარღვევის სახეობები

1. აკადემიური ეთიკის დარღვევის სახეობებია:



## სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

1. პლაგიატი, რაც გულისხმობს სხვის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომის ან მისი ნაწილის (ან გამოუქვეყნებელი ნაშრომის ან მისი ნაწილის, რომელზეც მტკიცდება ავტორობა, მათ შორის გამოქვეყნებული ან გამოუქვეყნებელი/მათ შორის დაცვის მიზნით მომზადებული, წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი/თეორიების, ცნებების, მონაცემთა წყარო მასალების, სახელმძღვანელოების, მეთოდოლოგიების ან დასკვნების, გრაფიკების, გამოსახულებების და სხვა), როგორც საკუთარს წარმოდგენა და გამოყენება, ავტორის შესაბამისი მითითებისა და საჭიროების შემთხვევაში, ნებართვის გარეშე.

2. კომპილაცია, რაც გულისხმობს საავტორო უფლებით დაცული, სხვის მიერ მიღებული კვლევითი შედეგების, ნაშრომების გამოყენებას, დაჯგუფებას, წყაროების საკუთარი დამუშავების და ინტერპრეტაციის გარეშე ნაშრომის შექმნით.

3. ფაბრიკაცია/ფალსიფიკაცია, რაც გულისხმობს ნაშრომში მონაცემების ცვლილებას, მონაცემებით მანიპულირებას, მიღებული შედეგების შერჩევითად გამოყენებას, წყაროების, შედეგების ან მეთოდოლოგიის, გრაფიკებისა და გამოსახულებების ჩათვლით, შესაბამისი აღნიშვნის გარეშე - რაც იწვევს შედეგებისა და დასკვნების არასწორ ინტერპრეტაციას.

4. სამეცნიერო შედეგების განადგურება, რაც გულისხმობს საკუთარი ან სხვის მიერ მიღებული მონაცემების ან ჩანაწერების განადგურებას დამფინანსებლის ხელშეკრულების, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების, შიგა რეგულაციების და პროფესიულ ან დისციპლინური სტანდარტებს დარღვევის გამოვლინების თავიდან ასაცილებლად.

### **მუხლი 5. დისციპლინური ღონისძიებები**

1. ეთიკის საერთო და აკადემიურ პროცესთან დაკავშირებული წესების დარღვევის ფაქტებზე აკადემიური, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, მასწავლებლების მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გატარების საკითხის აღძვრა შეუძლია სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიურ, ადმინისტრაციულ, დამხმარე პერსონალსა და პედაგოგიურ საქმიანობაში ჩართულ ნებისმიერ პირს.

2. აკადემიური ეთიკის დარღვევის შემთხვევაში იქმნება „აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისია“, რომლის შემადგენლობა მტკიცდება, სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით. კომისია ვალდებულია აკადემიური ეთიკის დარღვევის საკითხი განიხილოს და დადოს დასკვნა გონივრულ ვადაში. შედგენილი დასკვნის დასკვნით ნაწილში კომისია ვალდებულია პირდაპირ მიუთითოს და დაასაბუთოს დარღვევის/დარღვევების არსებობა ან არარსებობა.



## სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

3. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები განისაზღვრება სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესითა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით განსაზღვრული სანქციებით.

4. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით დადგენილი დასჯადი ქმედების ჩადენისას, სასწავლო უნივერსიტეტი დაუყოვნებლივ მიმართავს შესაბამის სამართალდამცავ ორგანოს (პოლიცია, პროკურატურა).

### მუხლი 5. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

1. ეთიკის კოდექსში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა ხორციელდება წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით.

2. ეთიკის კოდექსი ძალაშია დამტკიცებისთანავე თუ წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

